572
1955

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცისარტყელა

„ოშვიდენი, ტურფა ქვეყანავ,
ოქროსფერ, ციერო ზეციერო,
და შენ, ქარიანელო, ხეებელითა
ხმაშოსანელო, გაახარეთ!“

№ 7 საკავშირო ეაკკ ცენტრალური კომიტეტის ბავშვთა მცირეწლოვანთათვის

ივნისი 1955

572 7

ნახატი ვ. ჯაფარიძისა

ეროვნული ბიბლიოთეკა



აგარაკზე

ილია სიხარულიძე

— ზატარები მატარებელს
აგარაკზე რატომ მოჰყავს?
— რომ გავსუქდეთ,
რომ გავკაჟდეთ,
დაგვიწითლდეს ყველას ლოყა!

ფიტნეს-ნაძენარი,
ველ-ძინდორი
სიხარულით გვეგებება;
მზე, ჰაერი, მოვლა, კვება,
ნახეთ, როგორ შეგვეცვლება!

ეროვნული ბიბლიოთეკა

აკაკი ბელიაშვილი

ნახატები ბ. რროინიშვილისა

პირველი ასვლა

ძია ნიკო მთელი დღე ემზადებოდა, კარვის თოკებს გრეხდა, სამთო ფეხსაცმელებს ფოლადის სამკაპებს აკედებდა, ზურგჩანთის თასმებს ამაგრებდა, ფოტოაპარატის კასეტებს ტენიდა, თბილ ტანსაცმელს გულმოდგინედ ფუთავდა და ხურჯინებში აწყობდა.

პატარა გივი და ციალა ეზოშიც კი არ გასულან სათამაშოდ. თვალმოუშორებლივ უცქეროდნენ როგორ ფუსფუსებდა ძია ნიკო.

— ამ სიცხეში თბილი ტანსაცმელი რად უნდა ნეტავი? — გაიოცა ციალამ.

— მთის მწვერვალზე ძალიან ცივა და იმიტომ. — თქვა გივიმ.

ძია ნიკო მწვერვალ თეთნულდზე ასასვლელად მიემგზავრებოდა.

— ძია, სად არის მწვერვალი თეთნულდი? — ჰკითხა მას ციალამ.

სანამ ძია ნიკო უპასუხებდა, გივიმ დაასწრო:

— სად არის და სვანეთში.

— სვანეთი სადღა არის? — იკითხა ციალამ.

ეს კი აღარ იცოდა გივიმ, მაგრამ იხტიბარი არ გაიტეხა, ხელი გაიშვირა და უთხრა:

— აი, იქ არის.

ძია ნიკომ გაიღიმა და ბავშვები კედელზე გაკრულ რუკასთან მიიყვანა.

— აი, შეხედეთ, — უთხრა მან, — ეს საქართველოს რუკაა; მარცხნივ, ლურჯი ფერისა — შავი ზღვაა. ზემოდან რუკაზე გადაგრაგნილი ზოლი რომ მიუყვება, ეს კავკასიონის მთაგრეხილია. ამგვარად, საქართველოს ჩრდილოეთით გადაჭიმულია კავკასიონის მთები, მის შუაგულშია სვანეთი. სვანეთშია ყველაზე უდიდესი და ასასვლელად ყველაზე უძნელესი მთები საქართველოში. იქ არის მწვერვალი თეთნულდიც. სვანურად თვეთნულდს ამბობენ. თვეთნე — სვანურად თეთრს ნიშნავს, თვეთნულდი კი თეთრ მთას.

— მერე, მართლა თეთრია?

— საოცრად თეთრი. იმიტომ რომ მუდმივი თოვლითაა დაფარული ზამთარშიც და ზაფხულშიც. უნდა იცოდეთ, რომ დიდ სიმაღლეზე ყოველთვის

საჯარო ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიცივეა. ამიტომ მაღალი მთების მწვერვალებზე თოვლი არასოდეს არ დნება.

— ძია ნიკო, წაგვიყვანე ჩვენც თეთნულდზე! — შეეხვეწა ციალა.

— არა, შვილო, თქვენთვის ჯერ ადრეა. აი, ჯერჯერობით პატარა მთებით დაკმაყოფილდით. პირველად მთაწმინდაზე ადით.

— განა არ ვყოფილვართ. იქ ხომ ბევრჯერ ვიყავით. — თქვა გივიმ.

— თქვენ იქ ფუნიკულორით ასულხართ. ეგ რა ასვლაა. ფეხით უნდა ახვიდეთ. გინდათ იქ ასვლა?

— გვინდა! — ერთად უპასუხა ორივემ.

— მე თუ წამიყვან, თეთნულდზედაც შემიძლია ავიდე. — დასძინა გივიმ.

— ოჰო! — გაიღიმა ძია ნიკომ, — ყოჩაღ! მხოლოდ ჯერ ვნახოთ, შევძლებთ თუ არა ფუნიკულორის ზეგანზე ფეხით ასვლას და ისიც მშვენივრად დაკეცილი გზით. იქ ხომ სულ აღმართია.

— ავალ.

— ვნახოთ. ხვალ კვირაა, მე მთელი დღე თავისუფალი მაქვს. აბა, როგორ ჩამაბარებთ პირველ გამოცდას მთამსვლელობაში.

* * *

მოუთმენლად ელოდნენ კვირის გათენებას გივი და ციალა. ისაუზმეს თუ არა, ძია ნიკომ ისინი რუსთაველის პროსპექტით ბესიკის ქუჩის დასაწყისთან მიიყვანა.

— აი, აქედან იწყება ნამდვილი აღმართი. — უთხრა ბავშვებს მან. — აქედან ფუნიკულორის ზეგანამდე დაახლოებით ერთ ნახევარი ან ორი კილომეტრი მანძილია. ჩვენ უნდა ავიდეთ სამასი მეტრის სიმაღლეზე. ძალიან ნელა უნდა ვიაროთ, ხშირად უნდა დავისვენოთ. კარგად დაიხსომეთ: მთაში პირველი და აუცილებელი პირობაა ნელი და ფრთხილი სიარული.

სამივენი შეუყვნენ ბესიკის ქუჩას. რაც უფრო მაღლა მიიწევდნენ, აღმართი მატულობდა. ბოლოს ქუჩა დამთავრდა და გამოჩნდა მთაწმინდის პანთეონი. მის გარშემო მთის ფერდობი ახალგაშენებული ტყით იყო დაფარული.

— აი, ამ პანთეონში არიან დაკრძალულნი ჩვენი დიდებული მგოსნები და საზოგადო მოღვაწენი: ილია, აკაკი, ვაჟა, ნიკოლოზ ბარათაშვილი, დიმიტრი ყიფიანი, დავით კლდიაშვილი, დიდი რუსი პოეტი ალექსანდრე გრიბოედოვი და მრავალი სხვა შესანიშნავი ადამიანი.

ძია ნიკომ ბავშვებს დაღლა შეატყო, — პირველ „მთასვლურ“ გასეირნებისას ისინი მეტ სიარულს ვეღარ შესძლებდნენ, და გადაწყვიტა აქ შეჩერებულიყო.

ბავშვები ავიდნენ თუ არა პანთეონში და თავისუფალი სკამი დაინახეს, მაშინვე მისცვივდნენ და ზედ ჩამოსხდნენ.

— უჰ, დავიღალე! — დაიჩივლა ციალამ.

— მე სულ არ დავღლილვარ, ავიდეთ კიდევ ზევით! — თქვა გივიმ, თუმცა ეტყობოდა, ისიც დაღლილი იყო.

ბავშვები გადაჰყურებდნენ მათ თვალწინ გადაშლილ თბილისს, სამგორის მიდამოებს, მტკვრის ხეობას.

შემდეგ ისინი დიდხანს იდგნენ ილია ჭავჭავაძის შესანიშნავ ძეგლთან.

— ჩვენი ნიჭიერი მოქანდაკის იაკობ ნიკოლაძის გაკეთებულია ეს ქანდაკება, — უთხრა ბავშვებს ძია ნიკომ.

პანთეონის დათვალიერებას კარგა ხანს მოუნდნენ და როდესაც ძია ნიკომ საათს დახედა, წამოიძახა:



— ეჰე, რამდენი დრო გასულა. ამჯერად ჩვენი მთასვლური გასეირნება ამით დავამთავროთ. მეორედ ამავე გზით ფუნიკულორის ზეგანზე ავალთ. მერე, როდესაც მუხლები გაგიმაგრდებათ, — ნამდვილ მწვერვალზე ავიყვანთ.

ამ გასეირნებით ნასიამოვნები ბავშვები შინ რომ დაბრუნდნენ, ორივემ ფეხის კუნთების ტკივილი იგრძნო.

— ეგ არაფერია, — უთხრა მათ ძია ნიკომ, — შეეჩვევით, მეორე და მესამე ასვლის შემდეგ ასეთ ტკივილს აღარ იგრძნობთ და არც ისე დაიღლებით, როგორც დღეს.

ღამით, როდესაც ორივემ ტკბილი ძილით დაიძინა, ესიზმრებოდათ, როგორ ადიოდნენ ისინი თეთნულდის მთაზე, რომელიც ღრუბლებზე მაღლა იყო ამართული და მისი ფერდობები სულ შაქარყინულითა და ტკბილი ნაყინით იყო დაფარული.

თეიმურაზ ჯანგულაშვილი

ნახატები. გ. ფოცხიშვილისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუთა ლ ბალი

დამინახავს თუთა,
შეერხევა ტოტი
და შრიალით მეტყვის:
— მზია, ჩემთან მოდი.
მზია, ტკბილი ხილი
მიირთვიო, აბა! —
და ჩამოყრის დაბლა
მწიფე თუთას სწრაფად.
დამინახავს ბალი,
შეერხევა ტოტი
და შრიალით მეტყვის:
— მზია, ჩემთან მოდი.
მივირბენ და ველი,
ჩამომიგდოს ბალი,
მაგრამ მაღლა ცქერით
დამეღლება თვალი.
ხეზე როგორ ავალ,
ჯერ ხომ პატარა ვარ...
ასვლა როგორ შევძლო
პაწაწინა ქალმა? —
ეს თუ იცის თუთამ,
რად არ იცის ბალმა?!

სირცხვილი

ზ. შერაზადიშვილი

დღეს ამირანმა მეგობრებს
თავის „ბიჭობა“ აჩვენა, —
ღორს მიეპარა, მოახტა,
„გააჭენ-გამოაჭენა“.
დიდი გმირობა ეგონა
ამირანს საქმე ამგვარი,
ერთიც ვნახოთ და უეცრად
ძირს მოადინა ბრაგვანი.
გონს რომ მოვიდა, ადგომა
ძლივს შესძლო „გმირმა მხედარმა“,
ფერდაკარგულმა მეგობრებს
გახედა გაუბედავად.
გახედა, რაღა გახედა,
ფეხზე ძლივს იდგნენ სიცილით,
ამ ჩვენს ამირანს ღრუტუნამ
ასე აჭამა სირცხვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანდრო ლომაძე

ნახატები ალ. ვეუხვაძისა

ადმირალი ნახიმოვი

წელს, 12 ივლისს შესრულდა ასი წელი გამოჩენილი რუსი მეზღვაურის პ. ს. ნახიმოვის გარდაცვალებიდან.

პავლე სტეფანეს-ძე ნახიმოვი დაიბადა 1802 წელს, სოფელ ვოლოჩეკში. პავლე მიაბარეს საზღვაო სასწავლებელში. ნიჭიერმა მოწაფემ მალე დაიმსახურა მასწავლებლებისა და ამხანაგების პატივისცემა და სიყვარული. 1818 წელს მან ბრწყინვალედ დაამთავრა სასწავლებელი და მას შემდეგ სიკვდილამდე მსახურობდა რუსეთის ფლოტში.

ნახიმოვი იყო მამაცი მეზღვაური, ნიჭიერი მეთაური, განათლებული და კაცთმოყვარე ადამიანი. ამიტომაც მოიპოვა მან მეზღვაურთა უსაზღვრო სიყვარული და მიიპყრო უმაღლესი სარდლობის ყურადღება.

შავი ზღვის სამხედრო ფლოტის გამოჩენილმა ხელმძღვანელმა მიხეილ პეტრეს-ძე ლაზარევმა ასე დაახასიათა იგი: „ნახიმოვი არის სანიმუშო მეზღვაური, სანიმუშო მეთაური, მისაბაძი მაგალითი სხვა დანარჩენ მეთაურებისათვისო“. მაშინდელ რუსეთში ნახიმოვმა პირველმა აღიმაღლა ხმა მატროსების ადამიანური უფლებების დასაცავად. ნახიმოვი ხშირად უფულოდ რჩებოდა, რადგან თავის ხელფასს ღარიბებს ურიგებდა.

1853 წელს დაიწყო თურქეთ-რუსეთის ომი. თურქები აპირებდნენ სოხუმის დაპყრობას, სამხედრო ხომალდებს თავს უყრიდნენ სინოპის ნავსადგურში და ემზადებოდნენ მოულოდნელი თავდასხმისათვის. ნახიმოვმა იცოდა ეს, მაგრამ ვერ გაეგო, სად იმყოფებოდა თურქეთის სამხედრო ფლოტი.

ნახიმოვის ესკადრა (სამხედრო ხომალდების შენაერთი) გამოვიდა სევასტოპოლიდან, მიცურდა სოხუმთან და ქარიშხლიან,

აღელვებულ ზღვაზე დაეძებდა თურქეთის ფლოტს. ზღვა საშინლად ღელავდა, ქროდა ძლიერი ქარი, კოკისპირულად წვიმდა, თან ისეთი ბურუსი იდგა, რომ ხომალდები ვერ ხედავდნენ ერთმანეთს. ნახიმოვის ესკადრა თურქეთის ნაპირს მიუახლოვდა. ნახიმოვმა უბრძანა გემ „ბესარაბიას“ მეთაურს: ახლოს მიდი თურქების მიერ მიტაცებულ ნაპირთან, დაათვალიერე იქაურობაო.

გემი „ბესარაბია“ მაშინვე გაემართა თურქეთის ნაპირისაკენ და ჩქარა შენიშნა თურქეთის გემი. „ბესარაბია“ გაეკიდა თურქეთის გემს, დაატყვევა და ნახიმოვს მიჰგვარა ტყვეები. ნახიმოვმა დაჰკითხა თურქები და გაიგო, რომ სინოპში თურქეთის სამხედრო ხომალდები დგას.

ნახიმოვი მიუახლოვდა ციხე-სიმაგრედ ქცეულ სინოპის ნავსადგურს და დარწმუნდა, რომ სწორედ აქ იყრიდა თავს თურქეთის სამხედრო ფლოტი.

ნახიმოვმა ხომალდების მეთაურებს უბრძანა,—შესულიყვნენ თურქების ნავსადგურში. სინოპის ნავსადგურში შემავალი რუსეთის ხომალდები რომ დაინახეს თურქებმა, ჯერ დაიბნენ, მერე კი ძლიერი სროლა ატეხეს. რუსეთის ერთ ხომალდს მოხვდა გავარვარებული ყუმბარა, რამდენიმე კაცი მოჰკლა და ხომალდს ცეცხლი გაუჩინა, მეორეს კი ანძა გადაუმტვრია. თურქები გააფთრებით ისროდნენ როგორც ხომალდებიდან, ისე ნაპირიდან, ჩვენი ხომალდები კი შეუპოვრად მიიწევდნენ წინ. აი, გაისმა ნახიმოვის ხომალდების ზარბაზნების გუგუნი, თურქებისა და რუსეთის ხომალდები გაეხვია სქელ კვამლში. რუსეთის ერთ-ერთი ხომალდი „დედოფალი მარია“ თურქებმა ძლიერ დააზიანეს, მაგრამ რუსი მეზღვაურები არ დაბნეულან. უყმბარებით ცეცხლი წაუკიდეს თურქების სამეთაურო (საფლაგმანო) ხომალდს. აღმოდებული ხომალდი ნაპირს მიაწყდა. ცეცხლმა დენთის საწყობამდე მიაღწია. უცებ გაისმა დენთის აფეთქების საშინელი ხმა, ხომალდიდან ამოვარდნილი ცეცხლი ცას მისწვდა. დენთმა დაგლიჯა ხომალდი და ალმოდებული ფიცრები ნაპირზე მდგომ თურქებს ზედ დააყარა. თურქებმა მიატოვეს ზარბაზნები და გაიქცნენ.

გაცხარებული ბრძოლის დროს, როცა ცა და მიწა ცეცხლსა და კვამლში იყო გახვეული, ნახიმოვმა თავის ახალგაზრდა ერთგულ მატროსს უბრძანა: ჩემი ჭიქით წყალი ამომიტანეო. მატროსმა მიართვა. ნახიმოვმა დალია და უთხრა: ფრთხილად ჩაიტანე ჭიქა, არ გატეხო, ეს ლაზარევმა მაჩუქაო. რადგან გემი ძლიერ ირწეოდა, მატროსი მაგრად უჭერდა ხელს ჭიქას—არ გამივარდესო. ბოლოს ისე ღონივრად მოუჭირა ხელი, რომ ჭიქა ხელში ჩაეფშვნა. მატროსი შეწუხდა. ბრძოლის დამთავრების შემდეგ მოახსენა ნახიმოვს, ჭიქა გამიტყდაო. ნახიმოვს თუმცა ეწყინა, მაგრამ არაფერი უთხრა, მერე კი ხშირად გაეხუმრებოდა ხოლმე მატროსს: სიყვარულსა და ერთგულებას მეფიცები, ჭიქა კი გამიტეხეო.

ამ ბრძოლაში განადგურდა თურქეთის ფლოტი. გადარჩა მხოლოდ ერთი გემი „ტაიფი“, რომელსაც ინგლისელი ოფიცერი მეთაურობდა. გადარჩა მხოლოდ იმის გამო, რომ სწრაფმავალი იყო და კონსტანტინეპოლისაკენ გაიპარა. მართალია, ნახიმოვის ხომალდებიც დაზიანდნენ, მაგრამ არც ერთი არ ჩაძირულა. რუსმა მეზღვაურებმა ტყვედ ჩაიგდეს ფეხში დაჭრილი თურქების ადმირალი ოსმან-ფაშა. ოსმან-ფაშა აგინებდა თავის მეზღვაურებს. თურმე თურქმა მეზღვაურებმა ისარგებლეს იმით, რომ მათი მეთაური დაიჭრა, ჯიბიდან ამოაცალეს გასაღები, გაჰქურდეს იგი და თან ქურქიც გახადეს.

თურქების ხომალდები კარგა ხანს იწვოდნენ, ფეთქდებოდნენ. აფეთქებული ხომალდების ნაწილები ეცემოდნენ ქა-

ლაქს და სწვავდნენ. მთელი ღამე იწვოდა ქალაქი.

ასე დასრულდა სინოპის სახელოვანი ბრძოლა, რომელმაც მსოფლიოს ერთხელ კიდევ უჩვენა რუს მეზღვაურთა ვაჟკაცობა, ამტანობა და გამჭრიახი გონება.

1854 წელს სექტემბერში ინგლისელები და ფრანგები თავს დაესხნენ ყირიმს. სევასტოპოლის დაცვის საქმე დაეკისრა ნახიმოვს. ნახიმოვი მისთვის ჩვეული ენერგიითა და საქმის ღრმა ცოდნით შეუდგა სევასტოპოლის დაცვას. იგი ხშირად იმყოფებოდა მოწინავე ხაზზე. ჯარს წვრთნიდა, ამხნევებდა, სადაც კი გაჭირდებოდა ჯარს, ნახიმოვი უმალ იქ გაჩნდებოდა, თვითონ ხელმძღვანელობდა ბრძოლას და ყოველთვის იმარჯვებდა მტერზე. მოწინავე ხაზზე ყოფნის დროს ნახიმოვი ორჯერ დაიჭრა, ხოლო 1855 წლის 12 ივლისს იგი სასიკვდილოდ დაჭრეს ბრძოლაში.

ნახიმოვი ითვლებოდა საზღვაო ბრძოლის უდიდეს ოსტატად. მან თურქეთ-რუსეთის ომის დროს მთელ მსოფლიოში გაუთქვა სახელი რუსეთის სამხედრო ფლოტს.

გიორგი ჭიჭინაძე

მამა უნდა გავახარო

ჩვენი წყარო ცივი არის,
მამას უნდა ცივი წყალი.
დოქი სწრაფად ავავსე და
შინისაკენ მივიჩქარი.

მხოლოდ ცოტას
შევისვენებ,
დიდხანს არ მსურს
დავახანო.
მზეო, წყალი არ გამითბო,
მამა უნდა გავახარო!

გემი და მგზავრები

ზურამ გემი გააკეთა,
გამოაბა ძაფი,
ლურჯი არის შესახედად,
კოხტაა და სწრაფი.

გადაბრუნდა წყალში გემი,
და მგზავრებიც ყველა —
თოჯინა და დათუნია —
წყალმა დაასველა.

ბარიელ ხავთასი

ციცინათელა

დაიცადე, ციცქნა ციცინათელა,
საით ჩქარობ. ვისთან გაგვიანდება?
ბაბუს ცეცხლი ჩაქრობია ჩიბუხში,
მოუკიდე, მოხუცს გაუხარდება.

ნახატები ო. ფუცქირიძისა

კურდღელი

დამნაშავე თუკი არ ხარ,
ფერი რატომ იცვალე?
ლაპარაკი არ იცი და
ქურდობა სად ისწავლე?!

ნულარ ქურდობ, გეუბნები,
არა, არ მეხუმრება.
ამოდენა ყური გაქვს და
მაინც არ გეყურება?!

ცირას ფისო

ოთარ შალამბერიძე

ვინ არ იცნობს
ცირას ფისოს,
ყურაქვიტას და თვალციმციმას;
რა ოინი, რა ოინი
ჩაიდინა ამას წინათ!..

დილით ცირამ საუზმისთვის
ერბო-კვერცხი მოიმზადა;
განჯინის კარს რომ აღებდა,
თვალი მოჰკრა უცებ კატამ...

დახეთ, დახეთ, ფისუნია
ვერ შეაკრთო ცემის შიშმაც;
ისე შეძვრა განჯინაში, —
ცირას არც კი შეუნიშნავს!...

ცირამ კარი გადურაზა
ჭრელთვალება კატუნასა

და ეზოში სათამაშოდ
გაემართა უმალ ხტუნვით;
ფისოს რაში ენაღვლება,
არც ის დარჩა გულნაკლული.
რომ მიირთვა ერბო-კვერცხი,
თათი ჩაჰყო ქოთანშიაც;
ყველიც დახვდა, მაგრამ რა ქნას?..
როგორ სჭამოს, რომ არ შია?
გაიფიქრა მაშინ ფისომ:
რა აჯობებს ახლა ძილსო.

გარეთ სულაც არა ცივა, —
ჯერ თამაში უნდა ცირას;

ფისომ ერთი ჩაიცინა
და გემოზე ჩაიძინა.

თავს ანებებს თამაშს ცირა,
დაიღალა პაწაწინა.

მოაგონდა ერბო-კვერცხი,
შენახული ამ დილითა;
განჯინასთან რომ მივიდა,
ხმა მოესმა განჯინიდან!..
— ეს ხომ ჩემი ფისო არის? —
გამოაღო ცირამ კარი;

გამოვარდა ფისო უმალ
და ჩაცუცქდა ბალიშებთან;

გაინაბა, გაიტრუნა,
დანაშაულს არც იმჩნევდა.
სადღა არის ერბო-კვერცხი!..
შეუბღვირა ცირამ ფისოს:
— რად დამტოვე უსაუზმოდ,
უსინდისო!..
უსინდისო!..
ფისო კი ზის ბალიშებში,
ტუჩს ილოკავს ენის წვერით;
არხეინად იყურება
ყურმოკლე და კუდაგრძელი!..
მე როდი ვწერ გასაცინად,
რა ქნას ცირამ
პაწაწინამ?..

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავით კასრაძე

ნახატები გ. თოთიბაძისა

გიგას ქორბუდა

— მოდიან!.. მოდიან!.. გაუმარჯოთ!— გაისმა არაგვის ხეობაში.

— მოვდივართ, მოგვიხარია!.. — წკრიალებდა სიმღერა.

მალე ავტობუსი გამოჩნდა. პატარა მგზავრები ფანჯრებიდან იყურებოდნენ და შეჰხაროდნენ ჩიტუნებით სავსე ჭალებს, ქოჩორა ნაძვებს. კიდევ ცოტაც და ავტობუსი მშვენიერი შენობის ეზოში შეგრიალდა. ატყდა ჟრიამული. სტუმრებს ბავშვთა სანატორიუმის დიასახლისი გამოეგება, ქაფქირმომარჯვებულმა მზარეულმაც გამოიხედა.

სტუმრებმა სახელდახელოდ დაიბანეს პირი, გამოიცვალეს ტანისამოსი, ისაუზმეს, დაურბინეს წისქვილს, ბალ-ვენახებსა და მდინარის ნაპირებს.

გაიცნეს პაპა ონისეც, — სანატორიუმის დარაჯი; მან ბაღჩაში შეიპატიჟა ბავშვები და გემრიელი ხილით გუმასპინძლდა. ონისეს შვილიშვილი გიგა მოშინაურებულ ირემს ეალერსებოდა. მერე რა ლამაზი იყო ეს ირემი, რა მშვენიერი, დატოტვილი რქები ჰქონდა, როგორ უხდებოდა გიშრის თვალები.

— მოდით, გაიცანით ჩვენი ქორბუდა. — უთხრა გიგამ სტუმრებს.

ირემიც ძველი მეგობარივით მიესალმა ყმაწვილებს; ისე გაჩერდა, თითქოს ეპატიჟებოდა, შემასხედით და გაგასეირნებთო.

— მიყურეთ! — თქვა გიგამ, ქორბუდას მოახტა ზურგზე და რქებში ხელი წაავლო. ქორბუდამ გაიქროლა. სტუმრებმა სიხარულით ტაში შემოჰკრეს. ასეთი რამ ზღაპარში თუ წაეკითხათ.

სტუმრებში პირველად ანდრომ გაბედა ქორბუდათი გასეირნება, შემდეგ ვასიკომ, თენგიზმა, მერაბმა.

ბავშვებმა პაპა ონისესაგან გაიგეს, რომ ირემს საჭმელად ხავსი უყვარსო,

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ისინიც კალათებით ეზიდებოდნენ ქორბუდასათვის ხავერდივით ხავსს.

უეცრად ქორბუდა დაიკარგა. შეწუხდნენ ყმაწვილები, დაღონდა გიგა.

— ქორბუდა მთებში თავისიანებთან ერთობა და მალე დაგვიბრუნდება. — აუხსნა პაპა ონისემ, მაგრამ ქორბუდა არა ჩანდა.

სანატორიუმიდან წასვლის დღეს, საღამოთი, ბავშვებმა კოცონი გამართეს; ხეებზე დაჰკიდეს ფერად-ფერადი ნათურები, ამბობდნენ ლექსებს, სიმღერებს, ცეკვავდნენ.

უცბად ეზოში შემოიჭრა ქორბუდა და ბავშვებთან გაჩერდა, თითქოს ეუბნებოდა:

— მაშ, მართლა მიდიხართ ქალაქში?

ქორბუდას დაბრუნებით დიდად გაიხარეს ყმაწვილებმა და მასთან ერთად ეზოში ინავარდეს.

დამსვენებლები მეორე დილით ადრე წამოიშალნენ და ქორბუდასთან გამოსამშვიდობებლად ჩავიდნენ ონისეს ბაღჩაში, მაგრამ ფეხი ვერ წარსდგეს წინ; მათი საყვარელი ქორბუდა დაღონებული იდგა და მოცვენილ რქებს დაჰყურებდა.

— ეს რა მოსვლია, გიგა, შენს ქორბუდას?

— მეც არ ვიცი, — მიუგო აცრემლებულმა გიგამ, — ასე დამხვდა. ალბათ, პაპა ონისე გაჯავრდა და რქები მოუმსხვრია...

ამ დროს პაპა ონისეც მოვიდა ხილით სავსე კალათებით.

— პაპა ონისე, რა დაგიშავა ქორბუდამ, რომ რქები მოგიმტვრევია? — მისცვივდნენ ბავშვები.

— მე ტყუილად მიწყრებით, რქები თავისით დასცვივდა.

— როგორ თუ თავისით? — გაიკვირვეს ყმაწვილებმა.

— ჰო, თავისით. თქვენ ხომ იცვლით ხოლმე კბილებს, ასევე ქორბუდაც იცვლის თავის რქებს. მერმის რომ გვეწვევით, ეგ ახალი რქებით დაგხვდებათ.

როცა ბავშვები ავტობუსში სხდებოდნენ, პაპა ონისემ მათ ხილის კალათებთან ერთად ქორბუდას რქები მიაწოდა და უთხრა: ყმაწვილებო, ქორბუდას რქები ჩვენგან სახსოვრად წაიღეთო!

ნახატები ქ. მახარაძისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყველაზე ძლიერი

ზამთარია, თოვს და ყინავს,
გადათეთრდა მთა და ბარი,
თოვლის ფიფქებს, როგორც პეპლებს,
ათამაშებს ცივი ქარი.
ერიამული გაუმართავთ
სიხარულით სავსე ბავშვებს,
თხილამურით ისრიალეს,
იცელქეს და ითამაშეს.
მიეპარა რეზო ლეოს
და გამოსდო ჩუმად ფეხი.
იცინის და თანაც ბავშვებს
ეუბნება იგი კვეხნით:
— მე ყველაზე ძლიერი ვარ,
ქვეყანაზე ერთადერთი,
ჩემს წინაშე ყველამ უნდა
მოიხაროთ ახლა ქედი! —
თხილამურით მოსრიალებს,
რა ბიჭია, ყველა უმზერს.
მაგრამ ამ დროს გადაბრუნდა,
გაიტეხა ცხვირი უცებ.

— ხედავ? — ლეომ უთხრა რეზოს, —
მკვეხარა ხარ მეტისმეტი,
ყინვა შენზე ძლიერია,
მოიხარე მის წინ ქედი! —
რეზომ ყინვას უთხრა ასე:
— მომიხრია შენს წინ ქედი.
შენ ყოფილხარ ქვეყანაზე
უძლეველი, ერთადერთი! —
მაგრამ ყინვამ უპასუხა:



— სცდები, რეზო, სცდები ძლიერ.
მზე დამხედავს და დამადნობს,
მზე ვერასდროს ვერა ვძლიე.
მზე ყველაზე ძლიერია,
ქვეყანაზე ერთადერთი,
მის წინაშე ყველამ ერთად
მოიხაროს უნდა ქედი.
— ჰეი, მზეო! ლეო ვძლიე,
მე დამძლია ყინვამ, ნახე,
ყინვას შენ სძლევ — ქედს მოვუხრი
ყოვლის შემძლე შენს დიდ სახელს!
— ღრუბელია უძლეველი,
დაამარცხა ქვეყნად ყველა:
როცა ცაზე გაიშლება,
ბინდია და ირგვლივ ბნელა.
ჩემი სხივი ვეღარ ატანს,
ვეღარ ვაფრქვევ მიწას ნათელს, —
მის წინაშე ქედის მოხრა
ქვეყანაზე ყველას გვმართებს. —
რეზომ ახლა ღრუბელს უთხრა:

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— ქვეყნად გერგო გმირის ბედი,
მოვედით, რომ შენს წინაშე
მოვიხაროთ ყველამ ქედი! —
ღრუბელს სიტყვა არ დასცალდა,
ამოვარდა უცებ ქარი,
სულ გაფანტა ღრუბელი და
ნათელი დღე დადგა წყნარი.
— ქარო, აბა, მთას ეძგერე,
შენი ღონის გვინდა ნახვა! —
დაუბერა ქარმა ძლიერ,
მთას პირდაპირ დაეჯახა.
მთა ურყევად, მტკიცედ იდგა,
ვერ აკრთობდა ქროლვა ქარის.
— ყველას სძლია, — ამბობს რეზო, —
თაყვანი ვცეთ, ღირსი არის!
მთაო, მთაო! შენს სიმტკიცეს
ქვეყანაზე ყველა ნატრობს —
შენ ყველაზე ძლიერი ხარ,
ერთადერთი, მარტოდმარტო!
— უძლეველი მხოლოდ ხეა,
დამერწმუნეთ, ყველა ცდებით;
დღე და ღამე, განუწყვეტლივ,
გულს მიჭამს და მღრღნის ფესვებით! —
— ჰეი, ხეო! სწორი არის?
მოვიხაროთ შენს წინ ქედი?! —
ხემ თქვა: — დიახ, მხოლოდ მე ვარ
უძლეველი, ერთადერთი!..

იქვე თურმე კაცი იყო,
ამ საუბარს მოჰკრა ყური.
— რადა სტყუი? რად ტრაბახობ?
ხეს მიმართა საყვედურით.
მოიმარჯვა ხელთ ნაჯახი,
საყვედური არ აკმარა, —
ჯერ ძირამდე გადაჭრა და
შემდეგ სულ მთლად ამოთხარა!
ქედმოხრილი არის ყველა —
მთა და ქარი, მზე, ღრუბელი —
ქვეყნად ადამიანია
გმირთაგმირი უძლეველი!

რუსულიდან გადმოაკეთა
კ. ჰანტურიშვილმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნახატები ს. მაჩაშვილისა

ვიტალი ბიანკი

ბულოდი ბაჭია

თქვენა გგონიათ, კურდღელი მშიშარაა? არა, კურდღელიცაა და კურდღელიც! აი, ჰკითხეთ, თუ გინდათ, ჩემს ბიჭუნა გიას, ერთხელ როგორი ჩხუბისთავი ბაჭია დავიჭირეთ.

გია, მე და ჯიმი სანადიროდ ვიყავით. ჩვენი ჯიმი შესანიშნავი მონადირე ძაღლია.

უცებ ბუჩქებში ჯიმმა დაიყეფა და უმალვე დაჩუმდა.

— მამა, ჩქარა, ჩქარა! ნახე, ჯიმმა რა დაიჭირა!—მიყვირის გია.

სწრაფად მივირბინე და აი, რა ვნახე: ჯიმი მიწაზე გაწოლილა და წინა ფეხებში მაგრად ჰყავს გამოჭერილი კურდღლის ბაჭია; ბაჭია გამწარებით ჭყივის, ჯიმი კუდს აქიცინებს, გია კი მათ თავზე ადგას და არ იცის, რა ქნას.

ნახატები პ. კანდელაკისა

ბავშვებო, ამ ნახატების შინაარსი მხატვარმა ანდრო კანდელაკმა შეადგინა. დახატვითაც დახატა, მაგრამ დაწერა თქვენთვის მოგვითხრობს.

აბა, ვინ უკეთ მოგვითხრობს, რა ჭხატია შვიდივე სურათზე?!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯიმს ბაჭია წავართვი. იგი კიდევ უფრო აჭყივლდა.

— მამა, შეხედე, ბაჭიას მარცხენა ფერდი გადატყავებული აქვს!—მითხრა გიამ.

— ოჰო! ეს ხომ ჩვენი ნაცნობი ბაჭიაა, ძია სერგოს რომ გაექცა. აბა, მეგობარო, ჩაძვერი ჩანთაში!

ბაჭია ჩანთაში ჩავსვით და შინისაკენ გავსწიეთ.

გზაზე გიას დაწვრილებით მოვუყევი, თუ საიდან ვიცნობ ბაჭიას და რატომ აქვს მას ფერდი გადატყავებული:

ჩემი მეგობარი ძია სერგოც მონადირეა. ეს ბაჭია ამ სამი კვირის წინ დაიჭირა, მაშინ ერთი ციცქნა იყო. ძია სერგოს ძლიერ გაეხარდა ბაჭიას დაჭერა და აი, რატომ: მისმა ძაღლმა კლეოპატრამ ლეკვები რომ დაყარა, ძია სერგო ნაცნობებს შეპირდა ლეკვებს გაჩუქებთო. მაგრამ როგორ გინდა ისინი დედას წაართვა? ისედაც ავი კლეოპატრა მთლად გაავდებოდა. ჰოდა, ძია სერგომ მოიფიქრა ლეკვების მაგივრად კლეოპატრასთვის ბაჭია ჩაესვა.

ლეკვები ყუთში ისხდნენ. როცა კლეოპატრა იქ არ იყო, ძია სერგომ ლეკვები ამოიყვანა და ბაჭია ჩასვა.

მოვიდა კლეოპატრა და ნახა, ლეკვების მაგიერ ყუთში ზის რაღაც პატარა ცხოველი, რომელსაც მთლად მისი სუნი უდის.

მან არ იუცხოვა ბაჭია, თავისად სცნო. ეზიდებოდა მისთვის ძვლებს, ხორცის საუკეთესო ნაჭრებს. ასეთი საპმლისაგან ბაჭია, ცხადია, სულ მალე გაჭიმავდა



ეროვნული
ბიბლიოთეკა

ფეხებს, მაგრამ ძია სერგო აკმევდა მას კომბოსტოს, ასმევდა რძეს.

ვერა და ვერ შეასწავლა კლეოპატრამ შვილობილს ძვლების ხვრა.

პატარა ბაჭია სულ უკან დასდევდა თავის დედობილს და მაიმუნივით ყველაფერში ბაძავდა. კლეოპატრა თუ ვისმე უკბენდა, ესეც ცდილობდა ეკბინა. ისეთი გულადი გახდა, რომ მეზობლის ძაღლებიც კი დააშინა.

ერთხელ ძია სერგოს ეზოში უცხო ლეკვი შევიდა. კლეოპატრა არსად ჩანდა. ბაჭიას მშვიდად ეძინა ყუთში.

ლეკვი მიცუნცულდა ყუთთან, დაინახა ბაჭია, ეცა, ფერდში კბილები ჩაავლო და გადაატყავა. ამ დროს კლეოპატრაც გაჩნდა, შვილობილს ჭრილობა მოულოკა, — ძაღლის ენა ხომ ჭრილობას სწრაფად აშუშებს. მაგრამ ამის შემდეგ ბაჭიამ აღარ ისურვა ძია სერგოს ეზოში ცხოვრება, ღამით ღობეში გაძვრა და ტყეს მისცა თავი.

და აი, სამი დღეც არ გასულა, რომ ეს ბაჭია ჩვენ დავიჭირეთ. როცა შინ მოვედით, ბაჭია იატაკზე დავსვი. იგი მაშინვე სკამქვეშ დაიმალა.

გიამ ლამბაქზე რძე დაუსხა და დაუძახა. მაგრამ ბაჭია არ გამოვიდა. მაშინ გია სკამქვეშ შეძვრა, ბაჭიას ხელი წაავლო და გამოათრია. ბაჭია ჭყიოდა, ფართხალებდა. გიას თითზე ისე უკბინა, რომ სისხლიც კი გამოადინა. გიამ ხელი გაუშვა და ბაჭია ისევ სკამქვეშ შეძვრა.

ამ დროს ჩვენმა კნუტმა, რომელიც

საჯარო
ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა



ბაჭიაზე პატარა იყო, მიირბინა ლამბაქთან და რძეს ლოკვა დაუწყო.

ამის შემხედვარე ბაჭია გამოვარდა, ეცა კნუტს და უკბინა. კნუტი შიშისგან ღუმელზე შეხტა.

ვიფიქრეთ. ჯიმი დაწვა თავის ადგილას, მას თავისი ლეიბი აქვს კუთხეში.

ვხედავთ, ბაჭია მასთან მიცუნცულდა, უკანა თათებზე დაცუცქდა და წინა თათებით ჯიმს ცემა დაუწყო.

ჯიმი ღრენით წამოხტა და სკამქვეშ დაწვა. აბა, ჩხუბს ხომ არ დაუწყებდა ამ ერთი ციცქნას!

ბაჭია კი არხეინად გაგორდა მის ლეიბზე.

დილით რომ ავდექით, ვნახოთ, ჯიმი შიშველ იატაკზე წევს, კნუტი კი ისევ ღუმელზე ზის, ჩამოსვლისა ეშინია.

— წავიდეთ, ვთხოვოთ ძია სერგოს, ეს ბაჭია გვაჩუქოს!—ვუთხარი გიას.

გიამ შეხედა კნუტს, ჯიმს, თავის შეხვეულ თითს და თქვა:

— იცი რა? წავიდეთ და ბაჭია სულაც დავუბრუნოთ ძია სერგოს.

ასეც მოვიქეცით. აბა, როგორ შეიძლება ასეთი ჩხუბისთავის სახლში გაჩერება! მივუყვანეთ ბაჭია ძია სერგოს, იმან კი გვითხრა:

— არც მე მინდა ასეთი აბეზარი, წაიყვანეთ, საიდანაც მოგიყვანიათ!

ტყეში მოგვიხდა წაყვანა. იქ გავუშვით. ბაჭია სკუპ-სკუპით სწრაფად შეხტა ბუჩქებში, არც კი დაგვემშვიდობა. აი, ასეთებიც არიან ხოლმე კურდღლები!

თარგმნა ბ. შელიამ

სგ. 2/338

ირაკლი აბაშიძე

ნახატი რ. სვეტაშვილი

მფრინავი

სწრაფი, როგორც მერცხალი,
დიდი, წეროსოდენი,
ფიცრისაგან გავთალეთ
თვითმფრინავის მოდელი.
ჰროპელერი მოვმართეთ
და ბუჩქების საფრიდან
ავაფრინეთ, გავუშვით,
გავუშვით და გაფრინდა.
გადუქროლა შენობებს
სრიალით და თარეშით
და ფრთის ერთი მოქნევით
მიიძალა ჰაერში.
სწრაფი, როგორც მერცხალი,
დიდი, წეროსოდენი,
ზეცის კალთებს გაეკრა
თვითმფრინავის მოდელი.
დიდხანს, დიდხანს ვუცქირე,
გამეტაცეს ფიქრებმა:
დიდი როდის გავხდები,
ნეტავ, როდის იქნება!
სულ ჰაერში ვიქროლებ,
როცა დიდი გავხდები,
მზის ამოსვლას დავასწრებ,
სხივებს ცაში დავხვდები.
ჩვენი ქვეყნის მიდამოს
მტრის თვალს არ მივაკარებ,
მშობლებსა და მეგობრებს
სულ ღრუბლებში ვატარებ.

პასუხები

ჟურნალ „დიდა“ № 5-ში მოთავსებული გასართობისა:

1. ციცუნები—სარკესთან იყო სამი ფიცო 2. თინას ქურდი—ვირთხას შეუჭამია ოთხი კვერცხი

ყდაზე: „თევზაობა“. ნახატი რ. ცუცქირიძისა

რედაქტორი ოთხი ნონეშვილი. სარედაქციო კოლეგია: გრ. ალაშიძე, ეკ. ბურჯანაძე, ი. გრიშაშვილი, კ. ეფაიშვილი, მაყვალა მირვლიშვილი (რედაქტორის მოადგილე), რ. მარგიანი, ი. სიხარულიძე, ნ. უნდაქოშვილი, შ. ცანავაძე (სამხატვრო რედაქტორი)

გამოცემის ოცდამერვე წელი ფასი 2 მან.

ДИЛА—ежемесячный детский журнал ЦК ЛКСМ Грузии № 7, июль 1955 г. Тбилиси Ленина 14.

საგლეტგამი, რედაქციის ისამართი: თბილისი, ლენინის 14. 3 სართ. ტელ. 3-7-38. გამომც. შეკვ. № 294; სტამბის შეკვ. № 732[116]. ტირაჟი 12 000. ვე 08824 ხელმოწერილია დასაბეჭდად 24/VI 55 წ. ტექსტი ამყობილია პოლიგრაფკომბინატ „კომუნისტის“ სტამბაში. ჟურნალი დაბეჭდილია ოქტომბრის ოცისტების მანქანაზე „ზარია ვოსტოკაზ“ სტამბაში.